

9

გეოგრაფია

მაია ბლიაძე, მანანა სეხნიაშვილი

სახელი _____

გვარი _____

ქალაქი/სოფელი _____

სკოლა _____

კლასი _____

დამატებითი სავარჯიშოების რვეული



სულაკაურის
გამომცემლობა



საქართველო



I.

უპასუხე კითხვებს:

1. რომელია მართებული მსჯელობა?

- ა. საქართველოს ესაზღვრება ჩრდილოეთ ოსეთი, დაღესტანი, მთიანი ყარაბაღი და ჩეჩნეთი;
- ბ. საქართველოს საზღვაო საზღვარი ორჯერ გრძელია სახმელეთო საზღვარზე;
- გ. საქართველოს გასასვლელი აქვს შავ და კასპიის ზღვებზე;
- დ. საქართველოს ხელსაყრელი სატრანსპორტო-გეოგრაფიული მდებარეობა აქვს.

2. რომელ სახელმწიფოსთან აკავშირებს როკის უღელტეხილი საქართველოს?

- ა. თურქეთთან;
- ბ. სომხეთთან;
- გ. აზერბაიჯანთან;
- დ. რუსეთთან.

3. კავკასიის ჩრდილოეთი საზღვარი გადის:

- ა. კუმა-მანიჩის ღრმულზე;
- ბ. მდინარე თერგზე;
- გ. მთავარ წყალგამყოფ ქედზე;
- დ. მდინარე ყუბანზე.

4. ჩამოთვლილთაგან კავკასიის რომელი ფიზიკურ-გეოგრაფიული რეგიონი არ მდებარეობს საქართველოს ტერიტორიაზე?

- ა. აღმოსავლეთი ამიერკავკასია;
- ბ. ჩრდილოეთი შავიზღვისპირეთი;
- გ. მცირე კავკასიონი;
- დ. კოლხეთის დაბლობი.

5. კავკასიის რომელი ფიზიკურ-გეოგრაფიული რეგიონი ვრცელდება რუსეთის, საქართველოსა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე?

- ა. მცირე კავკასიონი;
- ბ. აღმოსავლეთი ამიერკავკასია;
- გ. კავკასიონი;
- დ. ჰირკანი.

6. საქართველოს მოსაზღვრე ქვეყანა არ არის:

- ა. თურქეთი;
- ბ. სომხეთი;
- გ. ირანი;
- დ. აზერბაიჯანი

7. საქართველოს ყველაზე მოკლე საზღვარი აქვს:

- | | |
|---------------|-------------------|
| ა. თურქეთთან; | ბ. სომხეთთან; |
| გ. რუსეთთან; | დ. აზერბაიჯანთან. |

8. კავკასიის ძირითადი ოროგრაფიული ერთეულებია:

- ა. კავკასიონი, მცირე კავკასიონი, პონტოს მთები.
- ბ. კავკასიონი, კოლხეთის დაბლობი, ჰირკანის ოლქი.
- გ. კავკასიონი, ვოლგისპირა დაბლობი, კოლხეთის დაბლობი.
- დ. კავკასიონი, ლაზისტანის ქედი, ჩრდილოეთი შავიზღვისპირეთი.

9. სად მდებარეობს საქართველოს გეოგრაფიული ცენტრი?

- ა. ლიხის (სურამის) ქედის დასავლეთით, ხარაგაულის მუნიციპალიტეტში;
- ბ. ლიხის (სურამის) ქედის დასავლეთით, ქ. ზესტაფონთან;
- გ. ლიხის (სურამის) ქედის აღმოსავლეთით, ხაშურის მუნიციპალიტეტში;
- დ. ლიხის (სურამის) ქედზე, სოფელ ჩუმათელეთში.

10. საქართველოს აღმოსავლეთი საზღვარი იწყება მთა:

- | | |
|-------------------|---------------------|
| ა. ვაციკვარსიდან; | ბ. ტინოვროსადან; |
| გ. შავი კლდიდან; | დ. მყინვარწვერიდან. |

11. რომელი სასარგებლო წიაღისეული არ მოიპოვება საქართველოში?

- | | |
|---------------|-------------------|
| ა. სპილენძი; | ბ. ურანი; |
| გ. მანგანუმი; | დ. რკინის მადანი. |

12. რომელი სასარგებლო წიაღისეული მოიპოვება მირზაანში?

- | | |
|----------------|-------------|
| ა. ქვანახშირი; | ბ. ნავთობი; |
| გ. მარმარილო; | დ. გრანიტი. |

13. იპოვე მართებული მსჯელობა:

- ა. საქართველო მიეკუთვნება სათბობით მდიდარ და ჰიდრორესურსებით ღარიბ ქვეყანათა რიცხვს;
- ბ. საქართველოში ნახშირის მოპოვების სამი აუზია: ორი მურა ნახშირისა – ახალციხესა და ტყიბულ-შაორში და მესამე – ქვანახშირისა – ტყვარჩელში;
- გ. საქართველოში ნავთობის საბადოები განლაგებულია გარე კახეთში (მირზაანი, პატარა შირაქი, ტარიბანა) და თბილისის მახლობლად (ნორიო, თელეთი, პატარძელი);
- დ. საქართველო მდიდარია ბუნებრივი აირის მარაგით, მაგრამ იგი ჯერ არ გამოიყენება.

14. რომელი სასარგებლო წიაღისეული მოიპოვება ლოპოტაში?

- ა. მურა ნახშირი;
- ბ. მარმარილო;
- გ. დიატომიტი;
- დ. ნავთობი.

15. საქართველოს მდინარეების წყალგამყოფი ქედია:

- ა. მესხეთის;
- ბ. ლიხის;
- გ. კახეთის;
- დ. ქართლის.

16. კავკასიონის რომელ მწვერვალს უწოდებენ „ორწვერას“ მისი ფორმის გამო?

- ა. შხარა;
- ბ. უშბა;
- გ. ჯანლა;
- დ. მყინვარწვერი.

17. ვულკანური ტიპის რელიეფი ვრცელდება:

- ა. კოდორის ქედზე;
- ბ. ერუშეთის მთიანეთზე;
- გ. გუდამაყრის ქედსა და ქვემო ქართლის ვაკეზე;
- დ. კოლხეთის დაბლობზე.

18. რომელ დასახლებაშია შეცდომა?

- ა. ივრის ზეგანი და კოლხეთის დაბლობი;
- ბ. ქართლის ქედი და შიდა ქართლის ვაკე;

- გ. ალაზნის მაღლობი და კოდორის დაბლობი;
- დ. ელდარის ვაკე და ახალციხის ქვაბული.

19. რომელი მსჯელობაა მართებული?

- ა. საქართველოში ფულკანური რელიეფი კავკასიონზე გვხვდება;
- ბ. საქართველოს ტერიტორიის 54% – მთებს, 33% – მთისწინებს და გორაკ-ბორცვებს, ხოლო 13% დაბლობს უკავია;
- გ. საქართველოში არ გვხვდება კარსტული ტიპის რელიეფი;
- დ. ქვანახშირი მოიპოვება ტყიბულში, ტყვარჩელსა და ჭიათურაში.

20. რომელი ქვაბულებია ცნობილი საქართველოში:

- ა. ივრისა და ახალციხის;
- ბ. ახალციხისა და თბილისის;
- გ. თბილისისა და ალაზნის;
- დ. ახალციხისა და ალაზნის.

II.

დააკავშირე ერთმანეთთან:

1. მოცემული რუკები და საქართველოს მდებარეობა:



ბ



ბ



საქართველოს მდებარეობა:

1. მეზოგეოგრაფიული მდებარეობა;
2. მაკროგეოგრაფიული მდებარეობა;
3. მიკროგეოგრაფიული მდებარეობა;

ა	ბ	გ

2. სტიქიური მოვლენების სახელწოდებები და ფოტოები:

სახელწოდება:

1. ღვარცოფი;
2. წყალდიდობა;
3. მენყერი

ა



ბ



გ



1	2	3

3. ცნებები და განმარტებები:

ცნება:

1. რელიქტური მცენარეები;
2. ენდემური მცენარეები;
3. ქსეროფიტები;
4. ჰიგროფიტები;
5. მეზოფიტები.

განმარტება:

- ა. მხოლოდ განსაზღვრულ, შედარებით მცირე ფართობზე გავრცელებული მცენარეები;
- ბ. თანამედროვე მცენარეულ საფარში წარსული გეოლოგიური პერიოდების ფლორის წარმომადგენლები;
- გ. მშრალი ადგილებისათვის დამახასიათებელი მცენარეები;
- დ. მცენარეები, რომლებიც საშუალო ტენიანობის პირობებში იზრდება;
- ე. ჭარბტენიანი ადგილებისათვის დამახასიათებელი მცენარეები.

1	2	3	4	5

4. საქართველოს სასარგებლო წიაღისეულის რუკის გამოყენებით ბუნებრივი რესურსები და საქართველოს სამხარეო ერთეულები:

ბუნებრივი რესურსი:

- ა. ამ მხარეში სასარგებლო წიაღისეულიდან მოიპოვებენ ნავთობს და მარმარილოს;
- ბ. ამ მხარეში სასარგებლო წიაღისეულიდან მოიპოვებენ სპილენძ-ტყვიან-თუთიას და სხვა ფერად ლითონებს. აქ არსებულ მარაგს შეუძლია მთლიანად უზრუნველყოს საქართველოს ფერადი მეტალურგია საჭირო ნედლეულით;
- გ. ამ მხარეში სასარგებლო წიაღისეულიდან მოიპოვება ბარიტი და დარიშხანი;
- დ. ამ მხარეში სასარგებლო წიაღისეულიდან მოიპოვებენ ანდეზიტსა და აქატს.

სამხარეო ერთეული:

- 1. ქვემო ქართლი;
- 2. სამცხე-ჯავახეთი;
- 3. კახეთი;
- 4. რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი.

1	2	3	4

5. საქართველოს ქედები და მათი უმაღლესი მწვერვალები (შეაერთე ხაზებით).

ქედი	უმაღლესი მწვერვალი
1. გაგრის	ა. მეფისწყარო
2. სვანეთის	ბ. არაბიკა
3. შოდას	გ. პერანგა
4. ლიხის	დ. ცივი
5. კახეთის	ე. შოდაკედელა
6. გომბორის	ვ. შავი კლდე
7. არსიანის	ზ. არჯევანი
8. თრიალეთის	თ. ყანლის მთა
9. მესხეთის	ი. ჭანჭახი
10. რაჭის	კ. შხარა

6. დებულებები საქართველოს მოსახლეობის შესახებ და მოცემული დიაგრამები.

დებულებები:


- საქართველოს მოსახლეობის 47,7% მამაკაცია, 52,3% – ქალი. მათგან 0-14 წლის ასაკისაა 691 329, 15-64 წლის ასაკის – 2 492 268, 65 წლის და მეტი ასაკის კი – 530 207;
- მოსახლეობის 86,83% ეთნიკურად ქართველია, 6,27% – აზერბაიჯანელი, 4,53% – სომეხი, 0,71% – რუსი, 0,39% – ოსი, 1,24 – სხვა ეროვნების. არაქართველი მოსახლეობის 33,6% თავისუფლად ფლობს ქართულს, როგორც მეორე ენას;
- საქართველოს 15 წლამდე და უფროსი ასაკის მოსახლეობის 61,9% დაქორწინებულია, 20,3% – დაუქორწინებელი, 3,3% – განქორწინებული, 11,4% ქვრივია;
- 10 წლის და უფროსი ასაკის 3 228 691 ადამიანიდან უმაღლესი განათლება აქვს 26,7%-ს, პროფესიული – 17,4%-ს, საშუალო – 36,7%-ს, საბაზო – 8,4%-ს, დაწყებითი – 5,7%-ს; დაწყებითი განათლება არ აქვს 3,2%-ს, წერა-კითხვის უცოდინარია 0,4%;
- მოსახლეობის კლების მაჩვენებლით საქართველო მსოფლიოში მესამე ადგილზეა. ამის ერთ-ერთი მიზეზი იმიგრანტებსა და ემიგრანტებს შორის თანაფარდობაა.

დიაგრამები:

N1


განათლება

10 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის განათლების მიღწეული დონის მიხედვით (%)



N2

ასაკი სქესის მიხედვით




N3

შინამეურნეობების საშუალო სიდიდე



ოჯახური მდგომარეობა

15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის ქორწინების მდგომარეობის მიხედვით (%)




N4

იმიგრანტები

განაწილება წინა საცხოვრებელი ქვეყნის მიხედვით
სულ 184 629


ემიგრანტები

ემიგრანტების განაწილება ამჟამინდელი ქვეყნის მიხედვით
სულ 88 541



N5

ეროვნება



ა	ბ	გ	დ	ე

III.

დაადგინე:

1. რა სახის გეოგრაფიულ ინფორმაციას გვანვდის ამონარიდი ვახუშტი ბაგრატიონის ნაშრომიდან „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ და შეავსე ცხრილი:

- ა. ქალაქი ქუთაისი, რიონის გაღმა-გამოღმა, ჰავითა და წყლითა მშვენი, თვალთა ქვეშე მშვენიერი ადგილია;
- ბ. გორი – ადგილი მშვენიერი, წყალი კარგი, გარემოს აქვს ვენახნი და ნალკოტნი მრავალნი;
- გ. ტფილისი არს სამი ქალაქი: ტფილისი, კალა და ისანი. ჰყოფს მტკვარი;
- დ. სანირეს (ტყიბულთან) ითხრება რკინა და არს ლითონი მრავლად;
- ე. ბრილს (ხაშურთან) ითხრება კაჟი, ფრიად კეთილი, მოსპეტაკო, ჩახმახისათვის;
- ვ. კაცნი (ჭანები) არიან ხელოვანნი, ხის მუშაკობითა და შენებითა ნავთათა დიდთა და მცირეთა;
- ზ. არს მოზღუდვილი მთიულეთი მთითა, ამის გამო მაგარი და შეუვალი არს, უვენახო, უხილო. მცირემოსავლიანი... წყალთა შინა კალმახი მრავალნი, ხორცი, თევზნი და ფრინველნი გემოიანნი;
- თ. ქსანი არს სარგებლიანი მდინარე და თევზიანი;
- ი. ტაშირს არს თაფლი მრავალი და სპეტაკი, ვითარცა თოვლი და უწყინარი;
- კ. ატენს დგება ღვინო წარჩინებული.

წყარო	ადგილის გეოგრაფიული მდებარეობა და აღწერილობა	კლიმატური და ჰიდროგრაფიული ინფორმაცია	ფლორისა და ფაუნის თავისებურებანი	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ადგილები	მოსახლეობის სამეურნეო საქმიანობა
ა					
ბ					
გ					
დ					
ე					
ვ					
ზ					
თ					
ი					
კ					

2. საქართველოს სეისმური საშიშროების შეფასებისა და ადმინისტრაციული დაყოფის რუკების გამოყენებით, რამდენ ბალიანი მინისძვრის ზონაში მდებარეობს თითოეული მხარე და მონაცემები ჩანერე ცხრილში:

